

## განცხადებები და ლოცვა წყევლის უარყოფისათვის

ვადიარებ ჩემი წინაპრების, ჩემი მშობლების და ჩემს საკუთარ ცოდვებს, რომლებიც დაკავშირებულია ისლამის სახელით სხვა ადამიანთა დაწყევლასთან.

ვირჩევ, ვაპატიო ჩემს წინაპრებს, მამაჩემს და იმამებს, რომლებიც ამ წყევლაში ხელმძღვანელობდნენ მათ და მეც; ვპატიობ და ხელს ვუშვებ. ვპატიობ ყველას, ვინც ამ ცოდვის ჩადენისკენ მიბიძგა; ვპატიობ მათ ჩემს ცხოვრებაში გამოწვეულ შედეგებს.

ვირჩევ, ვაპატიო ყველას, ვისაც დავუწყევლივართ მე და ჩემი ოჯახი.

გთხოვ პატიებას, უფალო, იმისათვის, რომ დავთანხმდი სხვათა დაწყევლას და მონაწილეობა მივიღე ამაში.

ახლა ვიღებ შენს პატიებას.

შენი პატიების საფუძველზე, უფალო, ვირჩევ, ვაპატიო საკუთარ სხვათა დაწყევლა.

უარვყოფ წყევლის ცოდვას და ნებისმიერ სხვა წყევლას, რომელიც ამ ცოდვას მოჰყვა შედეგად.

უარვყოფ სხვათა მიმართ სიძულვილს.

უარვყოფ სხვათა დაწყევლაში მონაწილეობით გამოწვეულ ძლიერ ემოციას.

ვამსხვრევ ყველა ამ ძალაუფლებას ჩემს ცხოვრებაში (და ჩემს შთამომავალთა ცხოვრებაში) ქრისტეს მიერ ჯვარზე აღსრულებული გამომსყიდველი საქმის მეშვეობით.

გთხოვ, უფალო, დაამსხვრიო ყველა წყევლა, რაშიც მიმიღია მონაწილეობა და ღვთის სასუფევლის ყველა კურთხევით აკურთხო ისინი, ვინც დამიწყევლია.

იესოს სახელით, ასევე უარვყოფ და ვამსხვრევ ჩემ წინააღმდეგ წარმოთქმულ ყველა წყევლას.

უარვყოფ და უკუვადებ სიძულვილისა და წყევლის ყველა ბოროტ სულს და ვუბრძანებ მათ, დამტოვონ ახლავე, იესოს სახელით.

ვიღებ ღმერთის თავისუფლებას ჩემი ოჯახისა და ჩემ წინააღმდეგ მომართული ყველა წყევლისაგან. ვიღებ მშვიდობას, თავმდაბლობას და ძალაუფლებას სხვათა საკურთხებლად.

განვწმენდ ჩემს ბაგეებს, რათა ვილაპარაკო ქებისა და კურთხევის სიტყვები მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში.

იესოს სახელით, ვაცხადებ ღვთის სასუფევლის ყველა კურთხევას ჩემს ოჯახსა და ჩემზე, მათ შორის, სიცოცხლის, კარგი ჯანმრთელობისა და სიხარულის ყველა კურთხევას.

ვადიარებ და უარვყოფ ყველა უღვთო კავშირს, სულიერ კავშირებსა და მიჯაჭვულობას იმამებისა და სხვა მუსლიმანი წინამძღოლების მიმართ, რომლებიც მხელმძღვანელობდნენ ისლამური რიტუალების შესრულებისას, მათ შორის, სხვათა დაწყევლისას.

ვპატიობ ამ წინამძღოლებს მათ მონაწილეობას ჩემს ცხოვრებაში უღვთო კავშირების დამყარებასა და შენარჩუნებაში.

ვპატიობ ჩემს თავს იმას, რომ ვინარჩუნებდი ამ უღვთო კავშირებს ყველა მუსლიმანთან, ვის წინამძღოლობასაც ვემორჩილებოდი.

უფალო, გთხოვ, მაპატიე ყველა ცოდვა, რომელიც დაკავშირებულია ამ სულიერი კავშირების დამყარებასა და შენარჩუნებასთან, განსაკუთრებით, სხვათა დაწყევლისა და სიძულვილის ცოდვები.

ახლა ვამსხვრევ ყველა უღვთო სულიერ კავშირს და მიჯაჭვულობას მუსლიმან წინამძღოლთა მიმართ [კონკრეტულად ვასახელებ მათ, ვინც მახსენდება] და ვათავისუფლებ ჩემს თავს მათგან [ან სახელს ვასახელებ] და მათ [ან სახელს ვასახელებ] ჩემგან.

უფალო, გთხოვ, განწმინდე ჩემი გონება უღვთო კავშირთა შესახებ ყველა მოგონებისაგან, რათა თავისუფალი ვიყო და ჩემი თავი შენ მოგიძღვნა.

უარყოფ და ვაუქმებ ბოროტ სულთა დავალებებს, რომლებიც ცდილობენ ამ უღვთო სულიერ კავშირთა შენარჩუნებას; ვუბრძანებ მათ, დამტოვონ ახლავე, იესოს სახელით.

ჩემს თავს ვუკავშირებ ქრისტე იესოს და ვირჩევ, რომ გავყვე მხოლოდ და მხოლოდ მას.

ამინ.